საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/79

ქ. ბათუმი 02 დეკემბერი, 2016 წ.

ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე, 24-ე მუხლების, ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, ,,პაციენტის უფლებების შესახებ“, საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–15 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ტერიტორიაზე სამედიცინო დახმარების მიღების თანდართული ინსტრუქცია (**დანართი 1**).
2. დაევალოს ბსუ-ს ექიმ-თერაპევტს (**სამედიცინო კაბინეტის ხელმძღვანელს**) წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის აღსრულებისათვის შესაბამისი წინადადებებისა და ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფებზე განსათავსებელი ინფორმაციის გონივრულ ვადაში წარმოდგენა.
3. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**

ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ"/ ,,უნივერსიტეტი") ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქცია (შემდეგში ,,ინსტრუქცია) ადგენს უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარების **(შემდეგში ,,სამედიცინო მომსახურება")** მიღების წესსა და ინსტრუქციას.
2. სამედიცინო მომსახურება გულისხმობს გადაუდებელ ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას – სამკურნალო და დიაგნოსტიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის გადავადების ან განუხორციელებლობის შემთხვევაში გარდაუვალია მომსახურების მიმღების (შემდეგში ,,პაციენტი") დაუყოვნებელი სიკვდილი, უნარშეზღუდულობა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება და როდესაც არ დგება სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებლობა.
3. ინსტრუქცია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებით, ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", ,,პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით აღიარებულ, ადამიანის უფლებების პრიმატს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და განსაზღვრავს უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების კაბინეტი

1. ბსუ-ში პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად მოქმედებს **სამედიცინო დახმარების კაბინეტი,** რომელიც განთავსებულია ბსუ-ს იურიდიული მისამართზე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32), მე-2 კორპუსის (რუსთაველზე მდებარე) პირველ სართულზე, ოთახი N100.
2. კაბინეტს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ნიავდება ბუნებრივი წესით და მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით.
3. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით (შესაბამისი მედიკამენტებით აღჭურვილი ,,გადაუდებელი დახმარების ჩანთა", წნევის აპარატი, თერმომეტრი, გლუკომეტრი - შაქრის საზომი, დეფიბრილატორი).
4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევის (მათ შორის უბედური შემთხვევის) დადგომისთანავე ნებისმიერმა პირმა უნდა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

   ა) დროულად მიმართოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ადგილზე ან/და დარეკოს (კომუნიკაციის საშუალებების შესახებ მიეთითება საინფორმაციო დაფებზე და განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);

   ბ) შეატყობინოს ბსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს (კომუნიკაციის საშუალებების შესახებ მიეთითება საინფორმაციო დაფებზე და განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);

გ) არ გადაადგილოს დაზარალებული ექიმის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იქ დარჩენა სახიფათოა;

დ) აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო ან/და სახანძრო სამსახური (დარეკვა 112 -ზე) ან/და სხვა შესაბამისი სამსახური.

მუხლი 3. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ვალდებულებები

1. სამედიცინო კაბინეტს ემსახურება სამედიცინო განათლების მქონე პირი (შემდეგში ,,ექიმი-თერაპევტი), რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის ,,საექიმო საქმიანობის შესახებ' საქართველოს კანონის და წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად.
2. **ექიმი-თერაპევტი ვალდებულია:**

ა) სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი), 09:00 საათიდან 18:00 საათამდე დროის მონაკვეთში საჭიროების შემთხვევაში: ბსუ-ს სტუდენტს, პერსონალს, ასევე მოწვეულ პერსონალს გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება ან/და გაუწიოს კონსულტაცია ან/და გამოიძახოს სასწრაფო დახმარების სამსახური (რამდენიმე მომართვის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხორციელდება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, როცა სამედიცინო დახმარების დაყოვნებამ შესაძლოა პაციენტის სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეუქმნას (რესპირატორული მოშლილობანი, მოხრჩობა (ასფიქსია); გულსისხლძარღვოვანი მოშლილობანი: გულის წასვლა, კოლაფსი, შოკი; ტრავმითა და მოტეხილობით გამოწვეული ტრავმული შოკი; ანაფილაქსიური შოკი; კომური მდგომარეობანი; ელექტროტრავმა, მეხის დაცემა; ჰიპერთერმიული სინდრომი - სითბური და მზის დაკვრა, დამწვრობა; ჰიპოთერმიული სინდრომი - მოყინვა)).

ბ) ჩასატარებელი სამედიცინო პროცედურების ხასიათის გათვალისწინებით, წინასწარ შეაფასოს პაციენტებში ალერგიული რეაქციის განვითარების რისკი;

გ) ისეთი ხასიათის სამედიცინო მომსახურების გაწევისას, რომელიც დაკავშირებულია პაციენტის კანის საფარველზე პროცედურების ჩატარებასთან, უნდა შეფასდეს ინფექციური დაავადებების (მ.შ. B და C ვირუსული ჰეპატიტები და აივ ინფექცია/შიდსი) გავრცელების შემდეგი პოტენციური რისკები (პათოგენური ბიოლოგიური აგენტის გადატანა ერთი მომხმარებლიდან მეორეზე; პათოგენური ბიოლოგიური აგენტის გადატანა მომხმარებლიდან საკუთარ ორგანიზმზე; სხეულის/კანის დაზიანება კონტამინირებული ბასრი იარაღით ან სხვა ობიექტით).

დ) არ დაუშვას პაციენტის კანის საფარველზე პროცედურების ჩატარების დროს ინფიცირების ძირითადი მიზეზების არსებობა, როგორიცაა: ჰიგიენური პრაქტიკის წესების დაუცველობა; სხვადასხვა პაციენტის მიმართ ერთი და იმავე ინსტრუმენტის გამოყენება პარალელურ რეჟიმში; სუფთა და დაბინძურებული ინსტრუმენტების ურთიერთშეხება; სუფთა ინსტრუმენტების განთავსება დაბინძურებულ ზედაპირზე; სტერილური ინსტრუმენტების განთავსება არასტერილურ ზედაპირზე ან ურთიერთშეხება არასტერილურ ინსტრუმენტებთან; სამედიცინო ნარჩენების (მ.შ. შესახვევი მასალის, გამოყენებული ერთჯერადი ხელთათმანის, ხალათის, ნიღბის, ნემსების, შპრიცების, კალმებისა და ა.შ.) მართვის წესების დაუცველობა.;

ე) მართოს ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკები შემდეგი ღონისძიებების გატარებით: ხელების დაბანა პაციენტის მომსახურების დაწყებამდე და დასრულებისთანავე, ან

პროცედურის მიმდინარეობისას, მისი დროებით შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ.: სატელეფონო საუბრის გამო); იმ პროცედურების წარმოებისას, როდესაც შესაძლებელია კონტაქტი სისხლთან და სხვა ბიოლოგიურ სითხეებთან, ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენება; იმ პროცედურების წარმოებისას, როდესაც შესაძლებელია სისხლისა და ბიოლოგიური სითხეების გაფრქვევა, დამცავი ტანსაცმლისა და სათვალის გამოყენება; ასეპტიკის წესების გამოყენება პროცედურების წარმოებისას; პროცედურების წარმოება სათანადოდ გასუფთავებული, დამუშავებული და სტერილური ინსტრუმენტებისა და დამხმარე მასალის გამოყენებით; დეზინფექციის დაცვა პროცედურების წარმოებისათვის განკუთვნილ სამედიცინო კაბინეტში; ბასრ საგნებთან უსაფრთხო მოპყრობის (მ.შ. გადაყრის) წესების დაცვა; ნარჩენების უსაფრთხო შეგროვება და გატანა;

ვ) პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის აღრიცხვის მიზნით აწარმოოს შესაბამისი სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელიც კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა გადაეცემა შესანახად ბსუ-ს არქივს;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს შშმ პირთათვის ადაპტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნას, ამ მიზნით წარადგინოს შესაბამისი წინადადებები; **თ)** უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ფუნქციონირება (პაციენტის/სატელეფონო შეტყობინების მიღებისათვის მზადყოფნა, კაბინეტის მუშაობის განრიგისა და საკომუნიკაციო საშუალების ხელმისაწვდომობა საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით);

ი) პერიოდულად შეამოწმოს ინვენტარისა და მედიკამენტების ვარგისიანობა და უზრუნველყოს მათი შენახვის წესის დაცვა;

კ) დროულად წარუდგინოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული მომსახურებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენისათვის შესაბამისი წინადადებები;

ლ) შეასრულოს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დაკისრებული სხვა ფუნქციები (ვაქცინაციის შესახებ საორგანიზაციო ღონისძიებები თუ სხვა).

მუხლი 4. პაციენტის უფლებები

1. სამედიცინო დახმარების გამწევი ვალდებულია, პაციენტს მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია ჩასატარებელი პროცედურების შესახებ.
2. თითოეულ პაციენტზე იხსნება ანკეტა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პაციენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

ბ) პაციენტის დაბადების თარიღი და ასაკი;

გ) პაციენტის საკონტაქტო ინფორმაცია;

დ) ჩატარებული სამედიცინო პროცედურის დასახელება;

ე) სამედიცინო პროცედურის ჩატარების თარიღი და დრო;

ე) სამედიცინო დახმარების გამწევი პირის სახელი და გვარი;

ვ) ინფორმირებული თანხმობის მიღების თარიღი და დრო;

ზ) პაციენტის ხელმოწერა (იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი მოკლებულია ხელმოწერის უნარს, კეთდება შესაბამისი აღნიშვნა, რაც დასტურდება ახლო ნათესავის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში ხელს აწერს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი (სტუდენტის შემთხვევაში)/ სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელი (დასაქმებულის შემთხვევაში)).

3. პაციენტისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ ჩანაწერები წარმოადგენს პაციენტის პერსონალურ ინფორმაციას და მისი გაცემა/გამჟღავნება დაუშვებელია.
4. სამედიცინო ჩანაწერები შეიძლება გასაჯაროვდეს, ან/და დამუშავდეს სტატისტიკური მიზნით მხოლოდ პაციენტის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით.
5. სამედიცინო ჩანაწერების გაცემა მესამე პირებზე დასაშვებია პაციენტის თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის უსაფრთხოება

1. სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობამ, მოწყობამ და სამუშაო რეჟიმმა უნდა უზრუნველყოს პაციენტისა და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო.
2. სამედიცინო კაბინეტის კედლები და იატაკი უნდა იყოს გლუვი და სწორი, სანიტარიული დამუშავებისათვის მოსახერხებელი. სანიტარიული კვანძის კედლები დაფარული უნდა იყოს სველი წესით დამუშავებისა და დეზინფექციისადმი მედეგი საფარით.
3. აღჭურვილობის, ავეჯისა და ინვენტარის საფარი ადვილად უნდა ექვემდებარებოდეს გასუფთავება-დეზინფექციას.
4. სამუშაო ადგილი აღჭურვილ უნდა იქნეს ცივი და ცხელი წყლით უზრუნველყოფილი ხელსაბანი ნიჟარით, ხელის დასაბანი თხევადი საპნითა და ერთჯერადი ხელსახოცებით (ან ინდივიდუალური ხელსახოცების საკმარისი რაოდენობით), ასევე სათანადო სარეცხი საშუალებებით.
5. ქიმიური საშუალებები უნდა ინახებოდეს განცალკევებით, ორიგინალურ შეფუთვაში, უსაფრთხოების წესების დაცვით.
6. პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია გარემო ობიექტების ზედაპირების გაწმენდაზე, კარგად უნდა იცნობდეს დასუფთავების პრინციპებსა და მეთოდებს, აცნობიერებდეს მისი სამუშაოს მნიშვნელობას. დალაგებისა და დეზინფექციის დროს პერსონალმა უნდა გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (მაგ.: ხელთათმანები, ნიღაბი). სამედიცინო კაბინეტის დასუფთავება უნდა წარმოებდეს ნაკლებად დაბინძურებული უბნიდან მეტად დაბინძურებული უბნის მიმართულებით. მექანიკური გაწმენდა დასუფთავების ნებისმიერი პროცედურის აუცილებელი ელემენტი უნდა იყოს.
7. დასუფთავების ყოველი პროცედურა უნდა ჩატარდეს ხელთათმანებით, რომლის გახდის შემდეგ, აუცილებელია ხელების დაბანა ან/და დამუშავება ხელის ანტისეპტიკის გამოყენებით.
8. ადამიანის კანის საფარველთან შეხებაში მყოფი ზედაპირების დასუფთავება და დეზინფექცია უნდა წარმოებდეს ყოველი პაციენტის მომსახურების შემდეგ. იმ ზედაპირების დასუფთავება, რომლებსაც არ ეხებიან ხელით, უნდა წარმოებდეს უფრო იშვიათად, მაგრამ რეგულარულად, არანაკლებ ერთხელ დღეში.
9. კედლების, იატაკისა და ფარდების დასუფთავება წარმოებს საჭიროებისამებრ, აგრეთვე ესთეტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მტვრისა და მიკროორგანიზმების გავრცელების შემცირების მიზნით, კედლები, იატაკი და ზედაპირები უნდა დასუფთავდეს სველი წესით, საჭიროებისამებრ, ესთეტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10. საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ უნდა გასუფთავდეს, ჩაუტარდეს დეზინფექცია (საჭიროების მიხედვით) და გაშრეს.